# საექსპერტო დასკვნა

## „მრავალფუნქციური შენობა 22 სსაცხოვრებელი ბინით. ქ. თბილისი ჩიქოვანის ქ. №16. (არსებულ ადმინისტრაციულ შენობაზე საცხოვრებელი ბინების დაშენება)“ პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ქ. თბილისი 2015 წლის 29 დეკემბერი

განსახილველად წარმოდგენილია შ.პ.ს. „არქტური“-ის საპროექტო ჯგუფის მიერ დამუშავებული, „მრავალფუნქციური შენობა 22 სსაცხოვრებელი ბინით. ქ. თბილისი ჩიქოვანის ქ. №16. (არსებულ ადმინისტრაციულ შენობაზე საცხოვრებელი ბინების დაშენება)“ პროექტის შემდეგი ნაწილები:

– არქიტექტურული ნაწილი ალბომის სახით. პროექტის მთავარი არქიტექტორი ო. წიკლაური).

– კონსტრუქციული ნაწილი ალბომის სახით. პროექტის კონსტრუქტორი რ. აფხაძე.

საექსპერტო დასკვნა შესრულებულია ექსპერტ, ინჟინერ-კონსტრუქტორ ო. ქვრივიშვილის მიერ.

სამშენებლო ნორმებისა და წესების – “სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01-09)-ს სეისმური საშიშროების რუქის დანართის მიხედვით მშენებლობისთვის გამოყოვილი უბანი მიეკუთვნება 8-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონას.

დაპროექტების ნორმების – “სამშენებლო კლიმატოლოგია”-ს მიხედვით, ქ. თბილისის საბურთალოს დასახლებული პუნქტისათვის: (შესაბამისად ცხრილები 17 და 18):

– თოვლის საფარის წონა შეადგენს – 0,50 კპა-ს ( 50 კგძ/მ$^2$).

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა კი – 0,85 კპა-ს (48 კგძ/მ$^2$), 15-წელიწადში ერთხელ.

საექსპერტოდ წარმოდგენილი არსებული შენობა პროექტის მიხედვით გეგმაში მარტივი სწორკუთხა ფორმისაა, გაბარიტული ზომებით პირველი სართულის დონეზე 47,084x12,40 მ. შენობა შედგება სამი სართულისაგან, სარდაფით. პროექტი ითვალისწინებს არსებული შენობის მესამე სართულის

დემონტაჟს და მასზე ორი სართულის (მანსარდითა და მანსარდის სართულში ანტრესოლით) დაშენებას. შენობაში განივი კედლების არარსებობის გამო, გრძივ კედლებს შორის მოწყობილია განივი კედლების შემცვლელი ლითონის ჩარჩოები. შენობის სივრცითი სიხისტე უზრუნველყოფილია ლითონის ჩარჩოების ელემენტებისა და სართულშუა გადახურვების ფილების ერთობლივი მუშაობით.

მზიდი კონსტრუქციების საანგარიშო სქემის ანალიზი სტატიკურ და დინამიურ ზემოქმედებებზე შესრულებულია Лира SAPR-2015 პროგრამული კომპლექსის მეშვეობით.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალები შესწავლილ იქნა ზოგადად, პროექტის კონსტრუქციულ ნაწილთან ერთობლიობაში, ხოლო კონსტრუქციული ნაწილი კი დატალურად. პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანალიზური შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტი დამუშავებულია დამაკმაყოფილებელ დონეზე, მისაღები სისრულით, მაგრამ, მიუხედავად ამისა ექსპერტს მის მიმართ გააჩნია შემდეგი შენიშვნები:

– პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს არ ახლავს ნახაზების ჩამონათვალი, რაც გააადვილებდა პროექტის წაკითხვას.

– პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს სასურველია ახლდეს განმარტებითი ბარათი.

– ფურცელზე „კ-12“ - „კვანძები“, შენიშვნაში კ-6 ფურცლის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს კ-7

პროექტის დეტალურმა შესწავლამ და ანალიზმა გვიჩვენა, რომ პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ექსპერტის მიერ დაფიქსირებული შენიშვნები მექანიკური ხასიათისაა და გავლენას არ ახდენს პროექტის კონსტრუქციულ გადაწყვეტაზე. პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა რეკომენდაცია მშენებლობის დაწყების ნებართვის მისაღებად

ექსპერტი ინჟინერ-კონსტრუქტორი ო. ქვრივიშვილი